საქართველოს მთავრობის
გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

№468 2020 წლის 5 მარტი ქ. თბილისი

„წალენჯიხის მუნიციპალიტეტში მდებარე ენგურის კაშხლის მიმდებარედ ტურისტული მუზეუმისა და ვიზიტორთა ცენტრის მოწყობის მიზნით განსახორციელებელი ღონისძიებების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2017 წლის 14 მარტის №476 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის საფუძველზე, „წალენჯიხის მუნიციპალიტეტში მდებარე ენგურის კაშხლის მიმდებარედ ტურისტული მუზეუმისა და ვიზიტორთა ცენტრის მოწყობის მიზნით განსახორციელებელი ღონისძიებების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2017 წლის 14 მარტის №476 განკარგულებაში შეტანილ იქნეს ცვლილება და:

ა) მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2. დაევალოს სს „საქართველოს ენერგეტიკის განვითარების ფონდს“ საკუთარი სახსრებიდან ამ განკარგულების პირველი პუნქტით გათვალისწინებული ტურისტული ინფრასტრუქტურის (გარდა კაშხალზე გადმოსახედი №3 ბაქნისა და ზიპლაინისა) მოსაწყობად საჭირო საპროექტო და

სამშენებლო სამუშაოების შესყიდვა, მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით.";

ბ) დაემატოს შემდეგი შინაარსის მე-3 და მე-4 პუნქტები:

„3. დაევალოს სსიპ – საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნულ სააგენტოს ამ განკარგულების მე-2 პუნქტით განსაზღვრული კაშხალზე გადმოსახედი №3 ბაქნის მოსაწყობად საჭირო სამშენებლო სამუშაოების შესყიდვა, მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით.

4. დაევალოს შპს „ენგურის ტურისტულ ცენტრს" ამ განკარგულების მე-2 პუნქტით განსაზღვრული ზიპლაინის მოწყობის პროექტის განხორციელება, მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით.".

პრემიერ-მინისტრი **გიორგი გახარია**